# ახალი დანაშაულის პრევენციის პრობლემატიკა, ეროვნული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების მანძილზე

ნათია ოდიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნათია ოდიშვილი

23.06.2025

# აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს ახალი დანაშაულის პრევენციის პრობლემატიკას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეროვნული სისტემის განვითარების ჭრილში. კვლევა ეფუძნება საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს, სამართლებრივ დოკუმენტების, საერთაშორისო გამოცდილებისა და სამართლებრივი წარსულის კრიტიკულ ანალიზს. მიუხედავად 2015 წელს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის რეფორმატორული ხასიათისა, პრევენციული სისტემის პრაქტიკული განხორციელება კვლავ გამოწვევად რჩება. იდენტიფიცირდება ისეთი პრობლემები, როგორიცაა ადრეული გამოვლენის მექანიზმების სისუსტე, უწყებათშორისი კოორდინაციის დეფიციტი და სოციალური სერვისების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა რეგიონებში. ნაშრომი ასახავს პრევენციული პოლიტიკის მულტისექტორული და ინკლუზიური მოდელის აუცილებლობას, რომელიც აერთიანებს განათლებას, სოციალურ დაცვასა და მართლმსაჯულებას. წარმოდგენილია რეკომენდაციები სისტემის გასაძლიერებლად, არასრულწლოვანზე ორიენტირებული პრინციპებისა და მიდგომების შესაბამისად.

**საძიებო/საკვანძო სიტყვები:** არასრულწლოვანი, არასრულწლოვნებში დანაშაულის პრობლემატიკა, არასრულწლოვნებში რეციდივის პრობლემატიკა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარება.

# Abstract

This paper examines the challenges of juvenile recidivism prevention within Georgia's evolving national juvenile justice system. The analysis critically reviews the domestic legal framework, strategic plans, and international best practices. Despite the Juvenile Justice Code's reformist intent, significant implementation gaps hinder effective prevention. Key shortcomings include inadequate early identification, insufficient interagency collaboration, and limited access to social services, especially in rural areas. The research highlights the need for a comprehensive, multi-sectoral prevention strategy encompassing education, social support, and justice initiatives. Policy recommendations are provided to enhance systemic responses, aligning with child-friendly justice principles and the best interests of the child.



**Keywords:** Juvenile, Juvenile Justice, Challenges of Juvenile crime, Challenges in Juvenile recidivism, Juvenile Justice progress.